სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის **კოლეჯის მისიაა** მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას; კოლეჯი მრავალპროფილურია, თუმცა მისი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა.

კოლეჯის ხედვაა: სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხედვაა 2027 წლისათვის ჩამოყალიბდეს ლიდერ კოლეჯად კვალიფიციური კადრების მომზადებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, რითაც ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. კვალიფიური ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საშუალებით, ასევე კერძო, საჯარო და საერთაშორისო პარტნორებთან თანამშრომლობით განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ინტეგრირებული და არაინტეგირებული, ასევე მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები.

კოლეჯის ღირებულებებია

- თანამშრომლობითი და თანასწორი გარემოს შექმნა;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- გუნდურობა;
- სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- ინოვაციურობა;
- დაწესებულების ღიაობა, გამჭვირვალობა;
- შრომის ბაზარზე ორიენტირებულობა.